ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 230

10 აგვისტო
"___"_____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს" (ს/კ 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის №090394425), 2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის №090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და ამავე კოდექსის 127^2 მუხლისა და ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს"-ს (ს/კ 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის №090394425), 2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის №090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 6 ივნისის №18.396.655 განკარგულების შესაბამისად, შეიცვალოს:

ა) ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს"-ს (ს/კ 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო პირობებით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის №090394425) მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.1.4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით და შეთანხმებული გ.რ.გ.-ს პირობების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის

შესასვლელის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.“.

ბ) ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს“-ს (ს/კ 202430468) შორის 2009 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო პირობებით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის №090870422) მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.3 ქვეპუნქტის პირველი აბზაცი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„4.1.3. საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით მიწის ნაკვეთების ქვემოთ მითითებულ საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანება შეთანხმებული გ.რ.გ.-ს პირობების გათვალისწინებით და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შესასვლელის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით:“.

გ) ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს“-ს (ს/კ 202430468) შორის 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. საპრივატიზებო ღირებულების სრულად დაფარვისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით გადაცემული მიწის ნაკვეთების მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანება შეთანხმებული გ.რ.გ.-ს პირობების გათვალისწინებით და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შესასვლელის კეთილმოწყობის უზრუნველყოფა, არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**